საბანკო სფეროში არსებული ტენდენციები და მათი გავლენა კონკურენტულ გარემოზე

მზია კიკაძე

ნანა ბირბიჩაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: ვახტანგ ბერიშვილი

ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

სარჩევი:

აბსტრაქტი.....3

საფინანსო სექტორის

მიმოხილვა.....5

ბანკების კლასიფიკაცია.....8

საბანკო სექტორის განვითარების ისტორია.....9

არსებული მდგომარეობისა და ლიტერატურის

მიმოხილვა.....11

ტენდენციები.....12

კომერციული ბანკების აქტივების ხარისხი და მისი შეფასება.....16

დისტანციური საბანკო პროდუქტები.....37

რეგულაციები.....38

კონკურენცია.....5

3

კვლევის შედეგები.....58

დასკვნა

.....62

გამოყენებული ლიტერატურა.....66

დანართი.....67

აბსტრაქტი

შესავალი და მიზანი: საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს საბანკო სისტემა წარმოადგენს, რომელიც გლობალიზაციის პირობებში მუდმივ ცვლილებებს განიცდის. კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები გავლენას ახდენს დანარჩენ ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საფინანსო სექტორში მომხდარი ცვლილებებისა და ტენდენციების მუდმივი მონიტორინგი და შეფასება.

საქართველოს საბანკო სისტემამ ბევრი ცვლილებება განიცადა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სექტორში არსებულ კონკურენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომერციული ბანკების რაოდენობა 16-ს შეადგენს, მათგან მხოლოდ ორი ინარჩუნებს დომინანტ პოზიციებს. ამგვარად, **კვლევის მიზანს** წარმოადგენს საბანკო სექტორში არსებული მდგომარეობისა და ტენდენციების ანალიზი და შედეგად, მისი გავლენის დადგენა / შეფასება კონკურენტულ გარემოსა და მის ხარისხზე.

ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია მარეგულირებლის როლი და შესაბამისი რეგუაციების შემუშავება, რომელიც სექტორს შესაბამის ფონს შეუქმნის და სწორ ფუნქციონირებაში დაეხმარება.

კვლევის ამოცანები:

- კონკურენციის თეორიული საფუძვლების დამუშავება
- საბანკო სექტორში ძირითადი ტენდენციების გამოვლენა
- კონკურენციის არსებული დონის შეფასება
- საბანკო კონკურენციის რეგულირების შესწავლა
- ტენდენციების კონკურენტულ გარემოზე გავლენის შესწავლა

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, **კვლევის ობიექტია** კომერციული ბანკები და **კვლევის საგანია** საბანკო კონკურენციის თავისებურებები საქართველოში და ტენდენციები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკურენტულ გარემოსა და სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

პრობლემა: საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა რეგულაციების დანერგვის მიუხედავად, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული რეკომენდაციების მიხედვით, მაინც საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყანაში არაჯანსაღ კონკურენტული გარემო და ოლიგოპოლიის ნიშნებია. კვლევის ფარგლებში, შესწავლილია რა დონეზეა კონკურენცია საბანკო სექტორში და უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული ბანკი ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არსებობას.

ჰიპოთეზა:საბანკო სექტორი მაღალკონცენტრირებულია და კონკურენცია თავმოყრილია ორ დომინანტ ბანკს შორის, შედარებით პატარა ბანკები ჩართულები არიან ერთმანეთთან კონკურენციაში და ვერ უწევენ კონკურენციას წამყვან ბანკებს.

თემის აქტუალურობა: აღნიშნული საკითხის, აქტუალურობა განაპირობა ქართულ საბანკო სექტორში არსებულმა ტენდენციებმა, როგორებიცაა : ბანკების გამსხვილება (შერწყმა / შთანთქმა) , მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბანკებად გარდაქმნა ,საბანკო კონცენტრაციის მაღალი დონე, რეგულაციების ცვლილება და სხვა. საბაზრო ეკონომიკისთვის საბანკო სექტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია კონკურენციის თემის მუდმივი მონიტორინგი.

კვლევის მეთოდოლოგია : კვლევის ფარგლებში გამოყენებულია როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევაში, თავმოყრილია საფინანსო სექტორში 2003-2017 წლებში განხორციელებული ცვლილებებისა და რეფორმების პროცესში აქტიურად მონაწილე კომერციული ბანკების ფინანსური სტატისტიკა და მონაცემების ეკონომიკური ანალიზი. ნაშრომის ფარგლებში, გაანალიზდა საფინანსო სექტორის მდგომარეობა, საბანკო სექტორში მომხდარი ტენდენციები და მათი გავლენა კონკურენციაზე. საბანკო სექტორის კვლევასთან ერთად, განხილულია საქართველოს საკრედიტო ბაზრის სხვა სუბიექტებიც, როგორებიცაა : მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, საპენციო და სიცოცხლის დაზღვევის ფონდები და თავად საფონდო ბაზარი, რომელიც საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვისა და მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტია.

სიტყვები: კონკურენცია, ტენდენცია, საბანკო სექტორი